



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა*

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა  
ფილოლოგია

*ხელნაწერის უფლებით*

თინათინ დარახველიძე

**ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების  
თარგმნის თავისებურებანი ნიკოს  
კაზანძაკისის რომანების ქართული  
თარგმანების მიხედვით**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

**სადისერტაციო მაცნე**

0232.1.3. ფილოლოგია

თბილისი  
2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ეკა დულაშვილი**  
ფილოლოგიის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი.

რეცენზენტები: 1. **მედეა აბულაშვილი**,  
ფილოლოგიის დოქტორი.  
2. **ეკატერინე ჭყოძე**  
ფილოლოგიის დოქტორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის „13 მაისს“ 16:00 საათზე. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. საგანგებო მდგომარეობის პირობებში დისერტაციის დაცვა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში, დისტანციურად. საჯარო დაცვის პროცესში მონაწილეობა შესაძლებელია შემდეგი ბმულის საშუალებით: <https://zoom.us/j/8978585107>

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის „\_\_\_\_\_“ \_\_\_\_\_

სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი

**ნინო მამარდაშვილი**

# სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

## საკვლევი თემის აქტუალურობა

სადისერტაციო თემის აქტუალურობა და მისი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომი ბერძნული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და მათი ქართული თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზის პირველი მცდელობაა. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს კვლევის მეთოდოლოგია და ქართულ თარგმანმცოდნეობაში ჯერ დაუმუშავებელი საკითხის-ცნობილი ბერძენი მწერლის ნიკოს კაზანძაკისის, (რომლის შემოქმედებას მსოფლიო ლიტერატურაში გამორჩეული ადგილი უჭირავს), რომანების ქართული თარგმანების მეცნიერული შეფასება და მწერლის ენობრივი, კერძოდ, ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების ქართულად თარგმნის სპეციფიკის განსაზღვრა. კაზანძაკისის ნაწარმოების თარგმნისას არ არის საკმარისი მთარგმნელმა იცოდეს მხოლოდ ბერძნული ენა, მან ასევე უნდა იცოდეს ბერძნული ენის განვითარების ისტორია, ბერძნული დიალექტების ნიუანსები და იმავდროულად, თავად მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების დეტალები, რომლებმაც მწერლის შემოქმედის სტილის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ნიკოს კაზანძაკისის რომანების ორი ქართული თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზით შევეცადეთ გაგვერკვია, რამდენად ადეკვატურად ესმით მთარგმნელებს დედნის ეთნოენობრივი ნიუანსები, კერძოდ, რამდენად სწორად ახერხებენ ისინი დიალექტიზმებისა და მწერლის სტილისთვის დამახასიათებელი ნეოლოგიზმების თარგმნას. ნიკოს კაზანძაკისის ენა მკვლევართათვის ყოველთვის საინტერესოა, რადგან მხატვრულ-ესთეტიკური და ლინგვიტური თავისებურებების გამო ფილოლოგიური კვლევისთვის მრავალფეროვან მასალას იძლევა. მწერლის განსაკუთრებული მიდგომა ენის მიმართ ჩანს მის ყველა ნაწარმოებში. კვლევაში გამოვლენილია მთარგმნელთა მიერ განხორციელებული თარგმნითი ტრანსფორმაციები და ახსნილია მთარგმნელთა განსახვავებული მიდგომა, დედნისეული ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თავისუფალი,

კრეატიული გააზრება და გადმოტანა თარგმანში. თარგმანის თავისებურებათა წარმოსაჩენად ნაშრომში წარმოდგენილია ორიგინალისა და თარგმნილი ტექსტების შედარებითი ანალიზი ადეკვატურობისა და ეკვივალენტურობის კატეგორიების გამოყენებით. ნაშრომში წარმოჩენილია, თუ როგორ ახერხებენ მთარგმნელები ავტორის სპეციფიკური თხრობის სტილისა და თავისებური ლექსიკის ქართველ მკითხველამდე მიტანას.

ჩვენი ნაშრომი დაეხმარება როგორც კაზანძაკისის მომავალ მთარგმნელებსა და მისი შემოქმედების მკვლევრებს, ასევე ბერძნული ენის შესწავლის მსურველებს, რადგან კვლევაში განხილული ნაწარმოებების საფუძველზე გაანალიზებულია ბერძნული ენის განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურები.

## **კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შესრულებული კვლევის მიზანია კაზანძაკისის ორი რომანის, „ალექსის ზორბასის ცხოვრება“ და „აღსარება გრეკოსთან“ ქართული თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი კაზანძაკისეული ნეოლოგიზმებისა და მწერლის მიერ გამოყენებული დიალექტიზმების მიხედვით, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი რომანი სხვადასხვა მთარგმნელის (თამარ მესხისა და მაია კაკაშვილის) მიერ არის შესრულებული და ამიტომ, საშუალება გვძლევს გამოვავლინოთ თარგმნის განსხვავებული სტილი და თავისებურებები, მთარგმნელის ინდივიდუალური მიდგომა ორიგინალის ტექსტთან ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების მთარგმნელობითი ინტერპრეტაციის განსახვავებული მაგალითების წარმოჩენით.

## **ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება**

თემის კვლევის შედეგი მრავალმხრივ საინტერესო იქნება ნ. კაზანძაკისის შემოქმედების მკვლევართათვის და პრაქტიკოსი მთარგმნელებისთვის, რადგან ჩვენს ნაშრომში გაანალიზებულია ბერძნული ორიგინალისა და ქართული თარგმანის კომპლექსური შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებები თარგმანის თერეტიკოსთა ნააზრევის მიხედვით, თავის მხრივ, ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული კულტურის მრავალფეროვნების შესწავლაში, ენის, კულტურის, სააზროვნო მოდელების სპეციფიურობის გაგებაში. ჩვენს კვლევას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იქნეს უნივერსიტეტის სალექციო და პრაქტიკულ კურსებში, ბერძნული ენის სტილისტიკის და აგრეთვე, ენის კულტურის შესწავლისას.

## კვლევის მეთოდები

სადისერტაციო ნაშრომში დასახული მიზნების, ამოცანებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, კვლევის პროცესში გამოყენებულია თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში დამკვიდრებული კვლევითი და შედარებითი ანალიტიკური მეთოდები. წინამდებარე კვლევა არის როგორც კონცეპტუალური (თეორიული), ასევე ემპირიული, კონცეპტუალურ კვლევაში ვგულისხმობთ ცნებების განსაზღვრას და ამის საფუძველზე ემპირიული მასალის ანალიზის მიხედვით დასკვნების გამოტანას. ჩვენი კვლევის ამოცანების გადაჭრისთვის საჭირო იყო მეცნიერებაში არსებული არაერთგვაროვანი პოზიციების შეჯერება, რადგან არ არსებობს შეფასების კრიტერიუმების საყოველთაოდ აღიარებული სისტემა. თავდაპირველად საჭირო გახდა დაგვეზუსტებინა თარგმანმცოდნეობითი კვლევის ზოგიერთი კრიტერიუმი და კატეგორია, რომლებიც აუცილებელია თარგმანის მეცნიერული ანალიზისა და შეფასებისათვის. ასეთი კატეგორიებია მაგ, „ადეკვატურობა“, „ეკვივალენტურობა“,

„სრულფასოვანი თარგმანი“ ფონური ცოდნა, თარგმანი როგორც კროსკულტურული ფენომენი და სხვა.

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

### შესავალი

ჩვენი კვლევის მიზანია, დიდი ბერძენი პროზაიკოსის ნიკოს კაზანძაკის რომანების და მათი ქართული თარგმანების შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე, ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებების გამოვლენა, მათი მხატვრულ-სტილისტური ანალიზი. ნიკოს კაზანძაკის ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელია ნეოლოგიზმებისა და კრეტული დიალექტის ლექსიკის გამოყენება, რაც ართულებს ავტორის ნაწარმოებების თარგმნას სხვადასხვა ენაზე. ნაშრომში კაზანძაკის რომანების მაგალითებზე დაყრდნობით განხილულია თარგმანის ანალიზისთვის აუცილებელი თეორიული პრინციპები და თარგმანის შეფასების კრიტერიუმები. შევეხეთ თარგმანთან დაკავშირებულ ნორმატიულ ასპექტებს, თარგმნის პროცესის აღწერას და ინტერპრეტაციის მექანიზმებს; ასევე თარგმანი განვიხილეთ, როგორც კულტურათმორისი კომუნიკაციის შემთხვევა. ნაშრომში გავანალიზეთ კაზანძაკის შემოქმედებითი სტილი და მისი ფორმირების ფაქტორები, მისი რომანების კომუნიკაციურ-სტილისტური სპეციფიკა, ავტორის და მისი პერსონაჟების ლინგვოსტილისტური თავისებურებანი და მათი ასახვა ქართულ თარგმანებში.

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისგან. ძირითად სამეცნიერო ნაწილს მესამე და მეოთხე თავები წარმოადგენს. დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია. ნიკოს კაზანძაკის ნაწარმოებების თარგმანების ჭრილში განხილვამდე, შევეხეთ თავად კაზანძაკის ენის თავისებურებებს, მის სიყვარულს ხალხური მეტყველებისადმი და ბერძნული ენის დიალექტებისადმი, განსაკუთრებით კი კრეტული

დიალექტისადმი. კაზანძაკისის ნოვატორული მხატვრული აზროვნება, მისი ურთულესი სიტყვათწარმოებები ყოველთვის იქცევა მკვლევართა ყურადღებას. თუკი არსებობს ძნელად და ადვილად სათარგმნი ლიტერატურა, კაზანძაკისი უდავოდ უნდა მივაკუთვნოთ ძნელად სათარგმნი კატეგორიას. მთარგმნელისათვის ერთ-ერთ უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს აზრის გამოხატვის ძალზე ორიგინალური და სიმბოლიზებული ფორმები და მათი შემდგომი ბედის გადაწყვეტა თარგმანში. სწორედ ამ სირთულეებიდან გამომდინარე, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა, თუ როგორ, რა ხერხებით და რამდენად ადეკვატურად აისახება მწერლის სტილი ქართულ თარგმანებში.

## თავი I. ნაშრომის თეორიული წინასიტყვაობა

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება თარგმანს, როგორც კულტურათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებას. ნაშრომში წარმოდგენილია ყველა ის დებულება, რაც საჭიროა თარგმნის ანალიზისთვის და მისი ადეკვატურობის დასადგენად. ჩვენ მიერ დასახული ამოცანების გადაჭრა მოითხოვდა მეცნიერებაში არსებული არაერთგვაროვანი პოზიციების შეჯერებას. მით უფრო, რომ არ არსებობს შეფასების კრიტერიუმების საყოველთაოდ აღიარებული სისტემა. კვლევისთვის საჭირო იყო თავდაპირველად დაგვეზუსტებინა ისეთი ცნებითი კატეგორიები, რომლებიც აუცილებელია თარგმნის ხარისხის შეფასებისათვის. ასეთი კატეგორიებია „ადეკვატურობა“, „ეკვივალენტურობა“, „სრულფასოვანი თარგმანი“ და სხვა. ნაშრომის ამ ნაწილში ასევე განხილულია მხატვრული თარგმანის შესრულებისას გასათვალისწინებელი სიტყვის პრაგმატიკული მნიშვნელობის კომპონენტები, როგორებიც არის: რეგისტრი და სიტყვის ემოციური შეფერილობა. პირველი თავის ქვეთავში **1.1. მწერლის სტილის გადმოტანის ხერხები თარგმანში** განხილულია მწერლის სტილის გადმოტანის ხერხები და ასევე მთარგმნელის სტილის მნიშვნელობა თარგმანში. კაზანძაკისის ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებების ანალიზისას განხილულია თარგმანში

ეროვნული კოლორიტის ცნების მნიშვნელობა, რომელიც დამახასიათებელია ავტორის შემოქმედებისთვის. ჩვენი აზრით, იმისათვის, კაზანძაკისის ნაწარმოებების მთარგმნელმა შეინარჩუნოს თარგმნილ ნაწარმოებებში ეროვნული კოლორიტი და მწერლის სტილი, მას გარდა ენის ზედმიწევნით ცოდნისა უნდა ჰქონდეს კონკრეტული ფონური ცოდნაც. ორიგინალის სრულად და ადეკვატურად გაგებისთვის სწორედ ფონური ცოდნა თამაშობს დიდ როლს. სწორედ კულტურის ეს ნაწილი უნდა იქნეს შესწავლილი, რომ შესაძლებელი იყოს ენობრივი კოლორიტის ღირებულების სრულად გადატანა სათარგმნი ენის მეშვეობით. ნაშრომში განხილულია ფონური ცოდნა სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებაზე დაყრდნობით და ასევე რეალიების, როგორც მისი შემადგენელი კომპონენტის თარგმნის ხერხები.

## თავი II. ნიკოს კაზანძაკისი და საქართველო

მეორე თავი შედგება ორი ქვეთავისგან. პირველ ქვეთავში ნიკოს კაზანძაკისის ბიოგრაფიის მოკლე მიმოხილვა - ნიკოს კაზანძაკისის ბიოგრაფიიდან მოვიშველიეთ ის ფაქტები, რომელთაც, ჩვენი აზრით, კვალი დატოვეს მის შემოქმედებასა და სამწერლო სტილზე. მოკლედ აღვწერეთ კუნძულ კრეტიდან დაწყებული მწერლის ცხოვრების გზა, მისი მშობლების გავლენა, განსაკუთრებით კი მკაცრი მამის როლი მისი ხასიათის ჩამოყალიბებაში, თურქებისგან დაპყრობილი კუნძულიდან რამდენჯერმე გახიზვნა, ყმაწვილკაცობის იდეოლოგიური გატაცებები, ნიცშესა და ბერგსონის გავლენები მის ფილოსოფიურ ხედვებზე, ათენისა და სორბონის უნივერსიტეტში მიღებული განათლება, მწერლის მოგზაურობები და ფრაიბურგის საავადმყოფოში დაწერილი მწერლის ცხოვრების ეპილოგი.

მეორე ქვეთავში, **კაზანძაკისი და საქართველო**, გამოვყავით კაზანძაკისის ბიოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც მწერლის საქართველოში მოგზაურობებს ეხება. მწერლის პირველი მოგზაურობა საქართველოში იმ რთულ და ისტორიული მწიკვანდობის ჟამს დაემთხვა, როდესაც საქართველომ სამწლიანი დამოუკიდებლობა მოიპოვა რუსეთის იმპერიისგან და შემდგომ ისევ ბოლშევიკური რუსეთის ანექსიის მსხვერპლი გახდა. ასევე ეს



ის პერიოდი, როდესაც საქართველოსა და საბერძნეთის ისტორია ერთმანეთთან გადაიკვეთა, რეგიონში იმ დროისათვის მომხდარი ისტორიული კატაკლიზმების გამო; როდესაც თურქეთიდან დევნილმა ეთნიკურმა პონტოელებმა საქართველოში, კერძოდ ბათუმში მოიყარეს თავი ისტორიულ სამშობლოში-საბერძნეთში დაბრუნების მოლოდინით. სწორედ ნიკოს კაზანძაკისი აღმოჩნდა პირველი და უკანასკნელი სახელმწიფო მოხელე, პონტოელი ბერძნების რეპატრაციის პროგრამის ხელმძღვანელი და ამ მისიით საქართველოში მივლინებული; ეს იყო საქართველოსთან მისი პირველი შეხება. პასუხისმგებლობით აღსავსე ორკვირიანი მივლინების მიუხედავად, მწერალი მოიხიბლა საქართველოთი და მან კიდევ ორჯერ და ხანგრძლივი დროით იმოგზაურა ამ ქვეყანაში. ნიკოს კაზანძაკისმა მისი შემდგომი მოგზაურობებისას საქართველოში 1927 და 1928 წლებში ბევრი საინტერესო პიროვნება გაიცნო, ქართველი პოეტები- ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტის-საქართველოს უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი და როგორც თვითონ წერს „მთელი გულით შეიყვარა ისინი“. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა კაზანძაკისზე მისმა ურთიერთობამ გრიგოლ რობაქიძესთან. კაზანძაკისი ერთ-ერთ წერილში პანდელის პრეველაკისთან წერს: „არ ვიცი მოგწერეთ თუ არა იმის შესახებ, რომ შევხვდი ერთ ადამიანს-მთელს კავკასიაში: გრიგოლ რობაქიძეს-პოეტი მეოცნებე, მეტისმეტად მისტიური, უზომო გაქანების, გასაოცრად მოწესრიგებული. ასე 45 წლისაა. ძალზე ელეგანტური, მდუმარე, მარტოსული. საოცრებაა გერმანულ ენაზე თარგმნილი მისი რომანი „გველის პერანგი“. (თ.მესხი 1996:35) მის რომანში „Toda Raba“ გრიგოლ რობაქიძე გამოყვანილია ლიტერატურულ გმირად ქართველ მწერალთა მიერ გამართულ სუფრასთან, რომელსაც კაზანძაკისი დიდი სიყვარულით და აღფრთოვანებით აღწერს. სამშობლოდან შორს მყოფი გრიგოლ რობაქიძე წერს ქართველ პოეტს ირაკლი აბაშიძეს: „ახლახან გამოვიდა პარიზში რომანი საბერძნეთის სახელოვანი მწერლის ნიკოს კაზანძაკისის „Toda Raba“, საცა ორ გვერდზე გამოყვანილი ვარ მე. შესანიშნავად!... ავტორი გავიცანი ტფილისში 1928 წელს... მე გადამეტებით მაფასებდა... ეს სჯა უნდა მიეწეროს გენიას მისი.“ (თ.მესხი 1996:37) ნიკოს კაზანძაკისის

დამოკიდებულება საქართველოსთან მისი კეთილგანწყობა ქართველებისადმი იგრძნობა მის ყველა ფრაზაში - „გავაპარებდი ხოლმე მზერას ადამიანთა ამ ყოვლადმშვენიერი ჯიშისაკენ, დიდი აღმოსავლური თვალებით, დაუშრეტელი სიტკბოთი, კეთილად მომღიმარი უდარდელი სულებით. სვამდნენ, ცეკვავდნენ, ერთმანეთს ჰკოცნიდნენ და კლავდნენ უკეთილშობილესი მანერით, ვითარცა მრავალფერი მწერები“ (კაზანძაკისი 1999:406). ნობელის პრემიის ცხრაგზის ლაურეატის საქართველოსადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ ორმაგი ინტერესი გამოიწვია ქართველ მკვლევრებში. კაზანძაკისი, როგორც მწერალი პირველად ქართველ მკითხველს ბიზანტიოლოგმა და ნეოგრეცისტმა თამარ მესხმა გააცნო, მან 1984 წელს თარგმნა და გამოსცა კაზანძაკისის რომანი „გველი და შრომანი“, 1997 წელს გამოიცა თამარ მესხის მიერ ნათარგმნი კაზანძაკისის ფილოსოფიური თხზულება „ასკეზა“, ასევე 1999 წელს რომანი „აღსარება გრეკოსთან“. თამარ მესხს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი მწერლის სამი მოგზაურობის შესახებ საქართველოში „დიდი ხანძრის მეწყამული ანარეკლი“. ბოლო წლებში ახალგაზრდა ნეოგრეცისტების მიერ ითარგმნა ნიკოს კაზანძაკისის მნიშვნელოვანი რომანები „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ (მთარგმნელი თათია მთვარელიძე), „ალექსის ზორბასის ცხოვრება“ (მთარგმნელი მაია კაკაშვილი), „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ (მთარგმნელი მაია კაკაშვილი).

### **თავი III. კაზანძაკისის შემოქმედებითი სტილის ფორმირების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები**

პირველ ქვეთავში ახალი ბერძნული ენის განვითარების მიმოხილვა კათარევუსადან დიმოტიკიმდე და კაზანძაკისის როლი, მიმოვიხილეთ ახალი ბერძნული ენის განვითარების ეტაპები კათარევუსადან დიმოტიკიმდე და კაზანძაკისის როლი ამ პროცესებში. მისი შემოქმედებითი ცხოვრება სწორედ იმ დროს

იწყება, როდესაც კათარევუსასა და დიმოტიკის (ხალხური ენა) მომხრეებს შორის პოლემიკა სულ უფრო დიდ მასშტაბებს იღებდა. ნიკოს კაზანძაკის დიმოტიკის გულმხურვალე მხარდამჭერი იყო. მეორე ქვეთავში ნიკოს კაზანძაკის შემოქმედებითი სტილის თავისებურება განვიხილეთ კაზანძაკის შემოქმედებითი სტილის თავისებურება. მწერლის ცხოვრების და შემოქმედების ამოსავალი წერტილი ყოველთვის ახალი ბერძნული ენა და მისი წარმომავლობის ადგილი კრეტა იყო. მის მწერლურ სტილში იგრძნობა რაოდენ დიდი სიყვარული აკავშირებს მწერალს საკუთარ ენასთან და ეს სიყვარული მან ყველაზე კარგად, თავის ყველაზე დიდ ნაწარმოებში „ოდისეა“-ში ჩააქსოვა. პოემის პირველ გამოცემაში მოცემულია ავტორისეული ლექსიკონი, სადაც მწერალი განმარტავს მასში გამოყენებულ 1500-ზე მეტ სიტყვას. ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ კაზანძაკის ნაწარმოების ენის თავისებურებაზე, როგორც მწერლის შემოქმედებითი სტილის თვალსაჩინო მაგალითზე. „ოდისეა“-ში მოცემული სიტყვები არის მწერლის მრავალწლიანი მუშაობის შედეგი; მის მიერ გამოყენებული სიტყვები არც ერთ ლექსიკონში არ გვხვდება და შეიძლება ითქვას, რომ მწერალმა ისინი პირდაპირ ხალხის მეტყველებიდან აღწუსხა. პოემაში გამოყენებული ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების პრეველაკისის განმარტებითი ლექსიკონი კაზანძაკის მთარგმნელებისთვის ერთგვარ გზამკვლევად შეიძლება ჩაითვალოს.

## **თავი IV. ნიკოს კაზანძაკის ნეოლოგიზმები და დიალექტიზმების სტილისტური ფუნქცია და მათი ასახვა კაზანძაკის რომანების ქართულ თარგმანებში**

მოცემულ თავში შევხებით კაზანძაკის შემოქმედებაში ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების სტილისტურ ფუნქციას. პირველ ქვეთავში ნეოლოგიზმების სტილისტური ფუნქცია კაზანძაკის შემოქმედებაში განვიხილეთ ნეოლოგიზმის

ფენომენი, კაზანდაკისეული ნეოლოგიზმების სტრუქტურა და მათი როლი მწერლის ნაწარმოებებში, ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, რომ კაზანდაკისი თავად იგონებს ახალ ნეოლოგიზმებს, თითქოს მას არ ყოფნის ის სიტყვიერი მარაგი, რაც უკვე არსებობს ენის არსენალში და ცდილობს თავისი პერსონაჟები თავისივე გამოგონილი სიტყვებით აღწეროს და აამეტყველოს. კაზანდაკისის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც მან დაურთო ოდისეას პირველ გამოცემას, მოცემულია ავტორისეული ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების უხვი მასალა. მკვლევრების აზრით, სიტყვებს, რომლებსაც ისინი ნეოლოგიზმებად მიიჩნევდნენ, რადგან ისინი არც ერთ ლექსიკონში არ მოიძებნებოდა, შეიძლება ბერძნული რომელიმე დიალექტის ლექსიკაში არსებობდეს ან არსებობდა და უბრალოდ მივიწყებას მიეცა (Τσιπανάκης 1977). კაზანდაკისი, შეიძლება ითქვას, იყო სიტყვათშემგროვებელი და სიტყვათშემოქმედი. ის ახალგაზრდობიდანვე ატარებდა ლექსიკის შესაგროვებლად ექსპედიციებს, მოგზაურობდა ყველაზე შორეულ და მივიწყებულ სოფლებში და იქ იწერდა სიტყვებს, რომლებსაც ძვირფასი საგანძურივით ინახავდა, რომ შემდგომში თავის ნაწარმოებებში გაეცოცხლებინა. კაზანდაკისთან გვხვდება ისეთი ნეოლოგიზმებიც, რომლებიც ამავე დროს შეიძლება რომელიმე დიალექტსაც მიეკუთვნებოდეს (Τσιπανάκης 1977) მაგალითად: το οπαριονδᾶρει=οπαριδᾶ+διᾶρει (ცისარტყელა) და სხვ.

მეორე ქვეთავში **დიალექტიზმების სტილისტური ფუნქცია კაზანდაკისის შემოქმედებაში** გავაანალიზეთ კაზანდაკისის შემოქმედებაში დიალექტიზმების მნიშვნელობა. მოკლედ შევეხეთ დიალექტის განმარტებას და მიმოვიხილეთ კრეტული დიალექტი, როგორც ბერძნული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. ნიკოს კაზანდაკისი, რომლის ფესვები კუნძულ კრეტადან მოდის, ბუნებრივად იყენებს თავის შემოქმედებში კრეტულ დიალექტს, ავტორი თავის ნაწარმოებებში იყენებს არა მარტო კრეტულ დიალექტს, არამედ სხვა ბერძნულ დიალექტებსაც; ამიტომ, მისი ტექსტების თარგმნისას საყურადღებოა გავითვალისწინოთ ბერძნული დიალექტების მრავალფეროვნება. კაზანდაკისის ნაწარმოებებში გვხვდება არა მარტო ლექსიკური დიალექტიზმები, არამედ ფონეტიკური დიალექტიზმებიც. ისეთ ლექსიკურ დიალექტიზმებს როგორებიც არის მაგალითად: πῖθᾶν,α,

αρισθέναν, γερρακοκούνδουνα, δυναμάρι, κερόμπολη, τα ξομπλιαστά (ταγάρια), πιτακαμένο, σκανταλόχορτα, σοφιλιάζω, σπαργούσαν, ταυραπαδάδες, φεγγιζω, χλιαντριούσα, οθρανοδέντρα, μοναστραπίς, და სხვ. გვხვდება კაზანძაკისის თითქმის ყველა ნაწარმოებში. ქართულ თარგმანში კრეტული ლექსიკა გადმოტანილია ჩვეულებრივ სალიტერატურო ენაზე, შესაბამისი ეკვივალენტებით ან სხვა ლექსიკური საშუალებებით.

მესამე და მეოთხე ქვეთავებში **(კაზანძაკისის ნეოლოგიზმების თარგმნის თავისებურებები და კაზანძაკისის დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებები)** წარმოდგენილია ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებების კომპარატივისტული ანალიზი; ემპირიული მასალიდან კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდობით გავარჩიეთ ამ ორი ლექსიკური ერთეულის თარგმნის ადეკვატურობის ხარისხი. ნაშრომში განხილულია, თუ როგორ მეთოდს და სტრატეგიას ირჩევენ მთარგმნელები ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნისას.

მთარგმნელისათვის ავტორისეული ნეოლოგიზმების თარგმნა ერთ-ერთ ძირითადი გამოწვევაა; მთარგმნელისთვის ძნელია აირჩიოს მხოლოდ ერთი სტრატეგია ნეოლოგიზმების თარგმნისას, ყველაზე ხშირად, მათ მიერ გამოყენებულია რამდენიმე მეთოდის კომბინაცია სასურველი შედეგის მისაღწევად. ვინაიდან ლიტერატურული ტექსტის მიზანი მკითხველის ემოციების გაღვივება, ავტორის ნააზრვის და მისი სტილის გადმოცემაა, მთარგმნელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ახალი ლექსიკური ერთეულის შინაარსს.

ნიკოს კაზანძაკისის ნეოლოგიზმების თარგმნისას მთარგმნელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს წარმოადგენს პანდელის პრეველაკისის გამოუცემელი ხელნაწერი „Το γλωσσάριο της Οδύσσειας του Νίκου Καζαντζάκη“, სადაც განმარტებულია მწერლის მიერ გამოყენებული ნეოლოგიზმები. ამდენად, მთარგმნელებს, შეიძლება ითქვას, ავტორისეული ნეოლოგიზმების მნიშვნელობის გაანალიზების ეტაპი გაადვილებული აქვთ. ხოლო მეორე ეტაპი, თუ რა თავისებურებები ახასიათებთ ავტორისეული ნეოლოგიზმების თარგმნის პროცესს, განვიხილეთ თამარ მესხისა და მია

კაკაშვილის თარგმანების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ კაზანძაკისის ნეოლოგიზმების უმეტესობა რთულ სიტყვებს-კომპოზიტებს წარმოადგენს, რომლებიც სემანტიკურ მთლიანობად არის ქცეული, ასევე მის მიერ გამოყენებული ნეოლოგიზმები ნასესხობის შედეგია თურქული, იტალიური და ფრანგული ენებიდან; გვხვდება, ასევე რუსული ენის გავლენის ელემენტებიც. ნიკოს კაზანძაკისის ნაწარმოებებისა და მათი ქართული თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზისას გამოიკვეთა მთარგმნელების მიერ ნეოლოგიზმების გადმოცემის სხვადასხვა ხერხის გამოყენების მცდელობა სათარგმნი ტექსტის კონტექსტიდან გამომდინარე. პირველ რიგში, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა კაზანძაკისის ავტორისეული ნეოლოგიზმების თარგმნის თავისებურებები, თუ როგორი მეთოდს და სტრატეგიას ირჩევენ მთარგმნელები მათი თარგმნისას, ხოლო ცალკე შევხებით იმ ნეოლოგიზმების თარგმნის თავისებურებებს, რომლებიც ნასესხობის შედეგია.

შეპირისპირებითი ანალიზისას გამოვავლინეთ შემთხვევები, სადაც ხშირად შეინიშნება მთარგმნელის მიერ ამა თუ იმ ლექსიკური ელემენტის გამოტოვება, მაგალითად:

Δυσ ἔσπῳλστα χαριατάκια, ἠλιοκαμένα σα φελαχόπουλα ἔτρεξαν. ორმა ფეხშიშველმა, მზით დამწვარმა სოფლელმა ბიჭუნამ მოირბინა (მ.კაკაშვილი)

თარგმანში სიტყვა φελαχόπουλα გამოტოვებულია, რაც მწერალს გამოყენებული აქვს, როგორც განსაზღვრება, ორი მზით დამწვარი ბიჭის აღწერისას. Φελαχοπούλα - ეგვიპტელი გლეხის შვილები.

Η βουή του χარიού ακούστηκε, σκυλιά άρχισαν να γαβγίζουν, γυναικες σκληρίζαν, τα κοκόρια διαλαλούσαν την αλλαξοκαιριά.

სოფლის ხმაური გაისმა; ძაღლები ყეფდნენ, ქალები წიოკობდნენ, მამლები ყიოდნენ. (მ.კაკაშვილი)

აქ გამოტოვებულია ნეოლოგიზმი αλλαξοκαιριά-αλλαγή+καιρός - დროის, ამინდის ცვლილებას ნიშნავს. თუმცა ამ შემთხვევაში ქართულ თარგმანში არ ირღვევა კონტექსტში გათვალისწინებული შინაარსი და კარგად არის გადმოცემული მწერლის მიერ აღწერილი გარემო.

ამ ქვეთავში განხილული მაგალითებიდან თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, სადაც კარგად ჩანს მთარგმნელობითი მიდგომები.

Πέρασε το μπράτσο του από το μπράτσο της μαντάμας, κι ήπιαν κι οι δὸς μονορούφι, χεραγκαλιά, το κρασί τους, και κοίταζαν ὁ ἕνας τον ἄλλον με κατάνυξη.

მადამს მკლავი მკლავში გაუყარა, ორივეს ერთ ყლუპად ვახტანგურად გადაუმახა ღვინო და ერთმანეთს მორიდებით შეაცქერდნენ. (მ.კაკაშვილი)

„χεραγκαλιά“ (ზმნიზედა) ალამპრატσέτα ხელიხელგაყრილი, ამ შემთხვევაში მთარგმნელი სწორად იყენებს ქართული ეთნოკულტურული რეალიას ვახტანგურს, რომელიც ზუსტად მიესადაგება კონტექსტს ისე, რომ არ იკარგება ფორმა და შინაარსი, პირიქით, ადეკვატურად ასახავს მწერლის მიერ აღწერილ სცენას.

Με γοργοβλεφάρισε και χαμογέλασε, το μάτι της είχε άγρια γλύκα. წამწამების ნელი ფახულით შემომხედა და გამიღიმა. თვალეზში სითბო ედგა. (მ.კაკაშვილი)

„γοργοβλεφάρισε“ (ზედსართავი - შედგენილი) რაც ნიშნავს მე აგრიო βλισσέρ βλέμμα (γοργός ველური+βλέφαρο ქუთუთო) ველური, კუმტი გამოხედვა. ამ წინადადების თარგმნისას მთარგმნელს არაზუსტად აქვს ნათარგმნი ზმნა „γοργοβλεφάρισε“ წამწამების ნელი ფახულით შემომხედა, სწორი თარგმანია „კუმტად შემომხედა“. თარგმანი არაადეკვატურია და დედნისეული ტექსტი განცდას ვერ გადმოსცემს και άρχισε να στερεώνεται η ψυχή μου, δεν έπρεε πια συχναλλάζοντας σαν νερό. სულმა ჩემმა განმტკიცება იწყო, აღარ ჟონავდა და აღარ იცვლიდა ფორმას წყალივით. (თ.მესხი)

”συχναλλάζω“ (ზმნა - შედგენილი) სυχνά ხშირად+αλλάζω ცვლა პრეველაკის გლოსარში ახსნილია როგორც ხშირად ცვლა. ქართულ თარგმანში თარგმნილია, როგორც „იცვლიდა ფორმას,“ თუ გავითვალისწინებთ დედანში მოცემულ აზრს, სწორად არის ჩამატებული სიტყვა „ფორმა“, რაც სწორად გადმოსცემს დედნის კონტექსტს და ადეკვატური თარგმანია.

კაზანდაკისის ნაწარმოებებში უხვად არის ნეოლოგიზმები, რომლებიც აღებულია თურქული, იტალიური, ფრანგული

ენებიდან. ასევე გვხვდება რუსული ენიდან ტრანსლიტერაციით გადმოტანილი სიტყვები, რომლებიც მწერლის რუსეთში მოგზაურობის ნაყოფია. მით უფრო, რომ კაზანმაკისის ეპოქისთვის უცხო არ არის ამ ენათა გავლენები.

Κρατούσε ένα μικρό πιτακωτό μπόγο κάτω από τη μασκάλη. ნაჭერში გახვეული პატარა ბრტყელი ნივთი ილიაში ამოეჩრა. (მ.კაკაშვილი) „μπόγος“ < თურქული ხიგ ბერძნულად δέμα ροιχάω με περιτσίγυα από σφασμα- ნაჭერში გადახვეული ტანსაცმლის შიგნით. ქართულად მისი შესატყვისია „ფუთა,“ ..ბოღჩა.“ მთარგმნელმა თარგმნა როგორც ნაჭერში გახვეული ნივთი რაც სწორად არ ასახავს სიტყვის მნიშვნელობას. უფრო სწორი თარგმანი იქნებოდა: „ილიაში ერთი პატარა, დაბრტყელებული ფუთა ამოეჩრა.“

Στο χαιρί, σαθηκάμε απόξω από μάν σμαα. სოფელში ჩავედით, ერთი ქოხის წინ გავჩერდით. (მ.კაკაშვილი) σμαα < რუსული изна-ქოხი. კაზანმაკისი ხშირად იყენებს რუსულ ნეოლოგიზმებს, იმისათვის, რომ აღწეროს რუსეთის რეალობა. ყველაზე მეტი რუსული სიტყვა მას გადმოტანილი აქვს ტრანსლიტერაციის გზით თავის ნაწარმოებში, რომლებიც რუსეთში მოგზაურობებს ეხება. ქართულ თარგმანში ეს სიტყვები გადათარგმნილია ქართული ეკვივალენტებით. ამ შემთხვევაშიც „σμαα“ თარგმნილია როგორც „ქოხი“, თუმცა შეიძლებოდა მისი ტრანსლიტერაციის გზით თარგმნა, რომ არ დაკარგულიყო მწერლის ეს ერთგვარი მანერა ზოგიერთი რუსული სიტყვის უცვლელად გადმოტანისა.

ინდოევროპული ენებიდან თარგმნისას, სადაც სამიზნე ენაც ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება, პირველი მეთოდი, რასაც მთარგმნელები მიმართავენ ნეოლოგიზმების თარგმნისას, გრამატიკული ტრანსფორმაციის გამოყენებაა. ასევე მიმართავენ კალკირების, ამის შემდეგ კი ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის მეთოდებს. ნეოლოგიზმის ქართულად თარგმნაზე მუშაობისას ქართული ენის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გრამატიკული ტრანსფორმაციის გამოყენების ალბათობა მცირეა. ბერძნულ ლიტერატურულ ტექსტში ავტორის ნეოლოგიზმების ფორმირების მახასიათებლები და ქართულად მათი თარგმანის სპეციფიკა სრულიად თავისებურია. კაზანმაკისის



მიერ გამოყენებულ დიალექტიზმებთან ერთად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ავტორის ნეოლოგიზმი არის ავტორის ინდივიდუალური სტილის მნიშვნელოვანი ნაწილი და, შესაბამისად, ეს ლექსიკური ელემენტები მთარგმნელთა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ. მიღებული მონაცემების თანახმად, კაზანძაკის ნეოლოგიზმების თარგმნისას ქართული ენა იძლევა საშუალებას მთარგმნელმა გამოიყენოს კალკირება, ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაცია და მისი სინონიმით ჩანაცვლება. როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ვნახეთ, უმეტეს შემთხვევაში, ნეოლოგიზმების თარგმნა ხდება კალკირების მეთოდით ან მათი სინონიმებით ჩანაცვლებით. მ. კაკაშვილის თარგმანებში მთარგმნელი ნეოლოგიზმების თარგმნისას ზოგჯერ არაზუსტ შესატყვისს იყენებს, რაც საგრძნობლად ცვლის კონტექსტის შინაარსს და მკითხველზე დედნისგან განსახვევებულ შტაბჰედილებას ახდენს. თუმცა უნდა აღინიშნოს მ. კაკაშვილის საინტერესო მიგნებებიც ისეთ ნეოლოგიზმებთან მიმართებაში, როგორც არის, მაგალითად: „σκανταλόχορτο“, „το χάραφι το σπαρμένο σκανταλόχορτα.“ მთარგმნელმა მოკლედ და ლაკუნურად თარგმნა ის, როგორც „ინტრიგების ყანა“, რაც სრულიად ადეკვატური თარგმანია და გამოხატავს სწორედ იმას, რისი თქმაც უნდოდა მწერალს ორიგინალში. თ. მესხის შემთხვევაში, მთარგმნელი მეტ სითამამეს იჩენს კაზანძაკის ნეოლოგიზმების თარგმნისას. ის იყენებს როგორც კალკირების მეთოდს, ასევე ერთი ნეოლოგიზმის თარგმნისას რამდენიმე სიტყვით გადმოსცემს მის მნიშვნელობას. ასევე ზოგიერთ შემთხვევაში ნეოლოგიზმს მიზანმიმართულად თარგმნის ზუსტი კალკირებით, რის შედეგადაც სიტყვას ეცვლება მნიშვნელობა ისე, რომ არ იცვლება ორიგინალის შინაარსი და ქართულ თარგმანში ორგანულად ერწყმის კონტექსტს. ასეთი მაგალითია - „Ουραϊνδῆαιο“, რომელიც მათი კაკაშვილს თარგმნილი აქვს როგორც „ცისარტყელა“, ხოლო თამარ მესხს როგორც „ცის თალი“. კაზანძაკის თავის ნაწარმოებებში ხშირად იყენებს ამ კონკრეტულ ნეოლოგიზმს ცისარტყელას მნიშვნელობით. რაც შეეხება თამარ მესხის თარგმანს, ამ კონკრეტულ კონტექსტში, „ουραϊνδῆαιο“-„ცის თალი“ ზუსტი ადეკვატია და დედნის შინაარსობრივ და სახისმეტყველებით არსს

გადმოსცემს. „Παράξενο παραμύθι, πολύπλοκο, σκοτεινό, με φόνια που μιλούσαν, με κατακλυσμούς κι ουρανόδίνჯαρα.“ „უცნაური, ჩახლართული ზღაპარი, ბნელი. მოლაპარაკე გველები, წარღვნები, ცის თაღი.“ ამ კონკრეტულ წინადადებაში, სადაც საუბარია უცნაურ მოვლენებზე, მოლაპარაკე გველებზე, წარღვნასა და ბნელ ჩახლართულ ზღაპარზე, შეიძლება ითქვას, მთარგმნელი ადეკვატურად გადმოსცემს დედნის შინაარსის სიღრმეს, მის ქვეტექსტს და მეტ მისტიურობას სძენს მას.

კაზანძაკისის ნეოლოგიზმების თარგმნა ქართულ ენაზე, როგორც თარგმნილი ტექსტებიდან ჩანს, არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან ქართული ენა მრავალფეროვან შესაძლებლობას იძლევა როგორც სიტყვათწარმოების თვალსაზრისით, ასევე კაზანძაკისის ნეოლოგიზმების სინონიმების შესარჩევად. ნეოლოგიზმები ფორმისა და აგებულების მიხედვით ორი სახისაა: მარტივი და რთული. მარტივი აგებულებებისაა ნეოლოგიზმი, რომელიც ერთი ძირისაგან შედგება, ხოლო რთული აგებულებებისაა ნეოლოგიზმი, რომელიც ორი ან მეტი ძირისაგან შედგება; სესხების დროს ხდება ფონეტიკური და გრამატიკული სუბსტიტუცია, ჩანაცვლება — ენობრივი ერთეული იძენს ნაწილობრივ ახალ გამოხატულებასა და შინაარსს, ნასესხობა ზოგჯერ იმდენად მიესადაგება მსესხებელი ენის სისტემას, რომ მისი უცხოური წარმომავლობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად. კაზანძაკისის ენაში უმეტესად რთული ნეოლოგიზმები გვხვდება, რომლებიც ძირითადად ორი ძირისგან შედგება *γυαλοκοπών, συχναλλάζω, σαρανταπληγίασμένη, φουσκιόθεντριά* და სხვა. ქართული ენაზე კაზანძაკისეული ნეოლოგიზმების თარგმნისას კალკირებით ზოგ შემთხვევაში ორფუძიანი სიტყვათშეთანხმების თარგმნა ორი ან მეტი ლექსიკური ელემენტით ხერდება, მაგალითად: „Πού να βρω μια ψυχή σαρανταπληγίασμένη.“ „სად ვიპოვო სული ორმოცზის დაჭრილი.“ *Σαράντα* ორმოცი+*πληγώνω*-დაჭრა, ქართულად ნათარგმნია როგორც „ორმოცზის დაჭრილი“ ანუ ერთი რთული და ერთი მარტივი სიტყვის კომბინაციით.

მეოთხე ქვეთავში გავაანალიზეთ დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებანი. დასაწყისში მიმოვიხილეთ

დიალექტიზმების თარგმნის თეორიული ასპექტები და დავასკვნით, რომ მეთოდები, რომლებსაც მიმართავს მთარგმნელი სტილისტური ეფექტის მისაღწევად არის სალიტერატურო სასაუბრო ენის ელემენტების, ასევე სასაუბრო ენის არასალიტერატურო ელემენტების გამოყენება. გავარჩიეთ კრეტული დიალექტის სიტყვების კატეგორიები: საგნების აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც სრულიად განსხვავდება საერთო ბერძნული ენისგან; სიტყვები, განსხვავებული ფონეტიკური და მორფოლოგიური ტიპებით, რომლებიც ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურით იგივეა, რაც საერთო ბერძნულ ენაში; საერთო ბერძნულ ენაში არსებული სიტყვები, რომლებსაც კრეტულ დიალექტზე განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. შეპირისპირებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვეანალიზებინა ამ კატეგორიების თარგმნის თავისებურებები, რომლებიც არ განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან ყველა ეს კატეგორია ლიტერატურული ენით არის გადმოცემულია მეტნაკლებად სხვა და სხვა რეგისტრში.

კრეტულ დიალექტის საგნების აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც სრულიად განსხვავდება საერთო ბერძნულ ენისგან მრავლად გვხვდება ნიკოს კაზანდაკისის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით იმ სიტუაციების და პერსონაჟების აღწერისას, ასევე იმ პერსონაჟების მეტყველებაში, სადაც მოვლენები ვითარდება კუნძულ კრეტაზე. აქ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი ორიგინალიდან და მისი ქართული თარგმანები:

Η ζάη μου, θάρρα, δε θά 'ταν η ίδια αν δεν τον άκουγα.

ასე მგონია, ჩემი ცხოვრება ასეთი არ იქნებოდა, ეს სიტყვები რომ არ გამეგონა. (თ. მესხი) θάρρα: Είδη καθάρστερα την ιστορική απιστολή της Ελλάδας ανάμεσα Ανατολής και Δύσης.

ვფიქრობ: მეტისმეტად გარკვეულად დავინახე საბერძნეთის ისტორიული მისია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. (თ.მესხი) Μα θάρρα πως μήτε αυτός το 'ξερε, γιατί αν το 'ξερε θα ' ριχνε το αστροπέλεκι του να μας κάψει. მაგრამ, მგონი, მანაც არ უწყოდა, რადგან რომ სცოდნოდა მებს დაგვცემდა და გადაგვბუგავდა. (მ.კაკაშვილი)

ბერძნულ დიალექტში ეს ლექსიკური ელემენტი ძველი ბერძნულიდან არის შემორჩენილი θάρρα-სიმამაცის, გამბედაობის

ქონა. ხოლო თანამედროვე ბერძნულში ის ითარგმნება როგორც νομίζω, πισθῆτα, πιστεύω-ვფიქრობ, მგონია, მჯერა. კაზანდაკისის მიერ გამოყენებული ეს დიალექტიზმი მრავლად გვხვდება მის ნაწარმოებებში და როგორც მაგალითებშია მოყვანილი, კონტექსტიდან გამომდინარე, ის ითარგმნება როგორც „მგონი“ და „ვფიქრობ“.

Σουσουράδιζε, σουσουράδιζε απάνω κάτω, απάνω κάτω, κι ύστερα βάρεθήκανε πιά οι άνθρωποι, της παιζάνε τα κουρταλάκια και μπήκε μέσα.

იცანცარა, იხტუნა, ხალხი დაიღალა, გასამრჯელო გადაუხადეს და ქალი გავიდა. (მ. კაკაშვილი)

ლექსიკური ერთეული „κουρταλάκια“ კრეტული დიალექტიზმია და მისი შესატყვისი საერთო ბერძნულში არის παλαμάκια, χειροκροτήματα-ტაში, აპლოდისმენტები. ქართულ თარგმანში მთარგმნელმა ეს დიალექტიზმი თარგმნა როგორც გასამრჯელო, რაც არაადეკვატური თარგმანია და არ გამოხატავს კონტექსტის ზუსტ შინაარსს.

სიტყვები, განსხვავებული ფონეტიკური და მორფოლოგიური ტიპებით, რომლებიც ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურით იგივეა, რაც საერთო ბერძნულ ენაში;

Γεννήθηκε, μεγάλωσε, παντρεύτηκε έκαμε παιδιά, έπιασε αγόρια.

დაიბადა, გაიზარდა, დაქორწინდა, შვილები გაუჩნდა, შვილიშვილებს მოესწრო. (მ.კაკაშვილი)

Στρούφιζαν τα βουνά, στρουφιζουμουν κι εγώ μαζί τους·  
ბრუნავდნენ მთები, მეც ვბრუნავდი მათთან ერთად. (თ. მესხი)  
Ερχόταν πασίχαρος σπíti μας κι έβρισκε τη μητέρα μου.

მოდითა ხოლმე სიხარულით აღსავსე ბიძაჩემი ჩვენს ოჯახში დედაჩემის მოსანახულებლად. (თ.მესხი)

ნათარგმნ ტექსტებში პერსონაჟის მეტყველების ფონეტიკური თავისებურებები მთლიანად დაკარგულია, რადგან თარგმნისას ისინი გადმოცემულია სალიტერატურო ენის ლექსიკით. თარგმნილ ტექსტში ფონეტიკური თავისებურებების დაკარგვით ტექსტი კარგავს თავის სპეციფიკურ ელფერს, რომელიც ორიგინალში დიალექტიზმების გამოყენებით იქმნება.

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ნათლად ჩანს მთარგმნელების მიერ გამოყენებული დიალექტიზმების თარგმნის ხერხები. ისინი ტექსტის ძირითადი ფუნქციური მახასიათებლების შესანაჩუნებლად იყენებენ სამეტყველო ენის სხვა ელემენტებს, როგორებიც არის ლექსიკური და გრამატიკული საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ დიალექტიზმების მნიშვნელობის გადმოცემა მათი კონტექსტის მიხედვით. დიალექტიზმი ყოველთვის უთარგმნელი რჩება, რადგან სათარგმნ ენაში მისი თარგმნა ხდება არასრული ეკვივალენტით, რომელიც სრულად ვერ გამოხატავს ორიგინალში მოცემულ სოციალურ კუთვნილებას. მთარგმნელების მცდელობა პერსონაჟის მეტყველების თავისებურება ზუსტად მიიტანონ მკითხველამდე, ზოგ შემთხვევაში, არც თუ ისე წარმატებით სრულდება, რადგან გამოყენებულია ისეთი ლიტერატურული ენა, რომელიც არ გამოხატავს ორიგინალში მოცემული პერსონაჟის სოციალურ კუთვნილებას.

## დასკვნა

ჩვენი კვლევის მიზანი იყო დიდი ბერძენი პროზაიკოსის ნიკოს კაზანძაკის რომანების და მათი ქართული თარგმანების შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებების გამოვლენა, მათი თარგმნის ადეკვატურობის დადგენა. ნაშრომში კაზანძაკის ნაწარმოებების მაგალითზე თარგმანის ანალიზისთვის აუცილებელი თეორიული პრინციპები და თარგმანის შეფასების კრიტერიუმები. შევხებით თარგმანთან დაკავშირებულ ნორმატიულ ასპექტებს, თარგმნის პროცესის აღწერას და ინტერპრეტაციის მექანიზმებს. ასევე თარგმანი განვიხილეთ როგორც კულტურათმორისი კომუნიკაციის შემთხვევა. ნაშრომში განვიხილეთ კაზანძაკის შემოქმედებითი სტილი და მისი ფორმირების ფაქტორები, მისი რომანების კომუნიკაციურ სტილისტური სპეციფიკა, ავტორის და მისი პერსონაჟების ლინგვისტილისტური თავისებურებანი და მათი ასახვა ქართულ

თარგმანებში. თარგმანის თავისებურებათა წარმოსაჩენად ნაშრომში წარმოდგენილია ორიგინალისა და თარგმნილი ტექსტების შედარებითი ანალიზი ადეკვატურობისა და ეკვივალენტურობის კატეგორიების გამოყენებით. ნაშრომში წარმოჩენილია, თუ როგორ ახერხებენ მთარგმნელები ავტორის სპეციფიკური თხრობის სტილისა და თავისებური ლექსიკის, ქართველი მკითხველამდე მიტანას.

ჩვენმა ემპირიულმა მასალამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მთარგმნელთა მიერ განხორციელებული ტრანსფორმაციები და დაგვედგინა, რა აიძულებს მთარგმნელს გამოიყენოს თავისი კრეატიული პოტენციალი. მთარგმნელის კრეატიული პოტენციალი, ჩვენი დაკვირვებით, თამარ მესხის თარგმანში გამოიკვეთა. თამარ მესხის, როგორც მთარგმნელის ენობრივი პიროვნება უფრო ახლოს დგას ნიკოს კაზანძაკის ენასთან. ნიკოს კაზანძაკის სტილისტური ორიენტირი ბერძნული კლასიკური ლიტერატურაა. სტილიზაციის, სტილისტური და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით გაჯერებული კაზანძაკის ნაწარმოებების თარგმნა მთარგმნელისგან მოითხოვს ღრმა ფონურ ცოდნას, ბერძნული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე ცოდნას და ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების ქართულ ენაზე გადმოტანის პრინციპების გათვალისწინებას.

კაზანძაკის ნაწარმოების თარგმნისას არ არის საკმარისი მთარგმნელმა იცოდეს მხოლოდ ბერძნული ენა, მან ასევე უნდა იცოდეს ბერძნული ენის განვითარების ისტორია, ბერძნული დიალექტების ნიუანსები და ასევე, თავად მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების დეტალები, რომლებმაც მწერლის სტილის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. ნიკოს კაზანძაკის რომანების ქართული თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზით, შევეცადეთ გაგვეჩვენა რამდენად ადეკვატურად ესმის მთარგმნელს დედნის ეთნოენობრივი ნიუანსები, კერძოდ, რამდენად სწორად ახერხებს მთარგმნელი დიალექტიზმებისა და მწერლის სტილისთვის დამახასიათებელი ნეოლოგიზმების თარგმნას. კვლევაში გამოვლენილია მთარგმნელთა მიერ განხორციელებული თარგმნითი ტრანსფორმაციები და შეძლებისდაგვარად ახსნილია მთარგმნელთა განსხვავებული

მიდგომა, დედნისეული ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნისას. ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმნის თავისებურებების ანალიზისას, შეუძლებელი იყო გვერდი აგვევლო თარგმანში ეროვნული კოლორიტის ცნებისთვის, რომელიც დამახასიათებელია კაზანძაკისის შემოქმედებისთვის, და ეს ბუნებრივად არის, რადგან ყველა მწერალი საკუთარი ეროვნული კოლორიტის მატარებელია. მთარგმნელი ორი ასპექტის გამოწვევის წინაშე დგება ეს არის: ეროვნული კოლორიტის შენარჩუნება და გადაჭარბებული ეროვნული კოლორიტის შექმნის საშიშროება. ღირებული თარგმანია ის თარგმანი, რომელშიც ამ ორი ასპექტის ბალანსია დაცული. ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ ჩვენი კვლევის ობიექტის ანუ კაზანძაკისის ნაწარმოებების მთარგმნელმა შეინარჩუნოს თარგმნილ ნაწარმოებებში ეროვნული კოლორიტი და მწერლის სტილი, გარდა ენის ზედმიწევნით ცოდნისა, როგორც აღვნიშნეთ, უნდა ჰქონდეს კონკრეტული ფონური ცოდნაც. ფონური ცოდნა კოგნიტური კატეგორიაა და ექსტრალინგვისტური ცოდნის ერთ-ერთი სახეობაა. ცოდნაც. ფონური ცოდნა კი, თავის მხრივ, ამა თუ იმ ერის სოციო-კულტურული ინფორმაციის მატარებელია, რომელიც კონკრეტულ ენაში აისახება. ორიგინალის სრულად და ადეკვატურად გაგებისთვის სწორედ ფონური ცოდნა თამაშობს დიდ როლს. სწორედ კულტურის ეს ნაწილი უნდა იქნეს შესწავლილი იმისათვის, რომ ვთარგმნოთ მხატვრული ნაწარმოები, მითუმეტეს ისეთი ავტორისა როგორც ნიკოს კაზანძაკისია, საჭიროა არამარტო ბერძნული ენისა და ლიტერატურის სრულყოფილი ცოდნა, არამედ ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინების უნარი. ექსტრალინგვისტურ ცოდნაში კი ფონური ცოდნა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ფონური ცოდნა წარმოადგენს ერის სოციო-კულტურულ ფონს, რომელიც ასე თუ ისე აისახება ენაში. სწორედ კულტურის ეს ნაწილი უნდა იქნეს შესწავლილი იმისათვის, რომ ვთარგმნოთ მხატვრული ნაწარმოები, მითუმეტეს ისეთი ავტორისა, როგორც ნიკოს კაზანძაკისია. მთარგმნელს თუ არ აქვს ფონური ცოდნა, მას არც ორიგინალის სწორი აღქმის უნარი გააჩნია, რადგან მისი ცოდნის არეალი არ მოიცავს ფონური ცოდნის იმ მნიშვნელოვან კომპონენტებს, რომლებიც მთარგმნელს

ეხმარება ორიგინალის სიღრმისეულად გაგებაში; ხოლო მთარგმნელმა თუ ვერ აღიქვა ის ღირებულებები, რომლებიც გადმოცემულია ორიგინალში, ის ვერ მოახერხებს ტექსტის ადეკვატურ თარგმანს. ამის დასტურია მთარგმნელობითი შეცდომები ჩვენ მიერ განხილულ მაია კაკაშვილის თარგმანებში, როდესაც ავტორის ნეოლოგიზმები და დიალექტიზმები ზოგიერთ შემთხვევაში არასწორად არის გაგებული მთარგმნელის მიერ და არაადეკვატურად არის ნათარგმნი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთარგმნელის სუბიექტურ ფაქტორს. კაზანძაკისის ნაწარმოებების ქართულ თარგმანების შემთხვევაში ჩვენი აზრით, თამარ მესხის ენა უფრო მხატვრულია და დახვეწილი. მისი ფრაზეოლოგია, ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების თარგმანი, კონტექსტიდან გამომდინარე უფრო ადეკვატურ შესატყვისებად მივიჩნით. თამარ მესხის თარგმანები გამოირჩევა მისი სუბიექტური ფაქტორის გამოც, ის არა მარტო სრულყოფილად და სიღრმისეულად ფლობს ბერძნულ ენას, არამედ მას გააჩნია ის ფონური ცოდნა, რომელიც მთარგმნელს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს თარგმნილ ნაწარმოებებში ეროვნული კოლორიტი და მწერლის სტილი. თამარ მესხის ექსტრალინგვისტური ცოდნა მას ეხმარება არა მარტო სიღრმისეულად გაიაზროს ორიგინალის შინაარსი, არამედ ის გრძნობს მწერლის სალიტერატურო ენის მელოდიის ყველა ნოტს. ამიტომაც ზედმიწევნით სწორად ასახავს ყველა პერსონაჟის შინაგან განწყობას, მათი მეტყველების ნიუანსები სწორი ინტონაციით იკითხება ქართულ თარგმანში, მათი სოციალური კუთვნილება არ არის ჩაკარგული ზედმეტად ლიტერატურული ენის ელემენტებში, არამედ პერსონაჟების საუბარი ბუნებრივად და ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელი ელემენტებით გამოირჩევა. მთარგმნელის მიერ ბერძნული სინამდვილის, მისი ისტორიის, მისი სოციო-კულტურული ფონის ზედმიწევნით ცოდნა განპირობებულია მისი პირადი გამოცდილებითა და საბერძნეთში მრავალწლიანი სამეცნიერო მუშაობით. ამიტომაც მისი მიერ თარგმნილი პასაჟები ბერძნული ენის მელოდიურობითაა გაჯერებული და უმეტეს შემთხვევაში ორიგინალის ადეკვატურ ასოციაციებს აღძრავს. თამარ მესხმა



მოახერხა კაზანძაკისის თხრობის დინამიკის ანალოგის შექმნა თარგმანში, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა.

კაზანძაკისის ნაწარმოებების ქართული თარგმანების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ორივე თარგმანს ბევრი რამ აქვს საერთო როგორც ღირსებების, ისე ნაკლოვანებების თვალსაზრისით. უმთავრესი ნაკლოვანება კაზანძაკისის თარგმანებისა არის ის, რომ ნათარგმნი ნაწარმოების მკითხველი ვერ აღიქვამს კაზანძაკისის ენის მრავალფეროვნებას, რადგან შეუძლებელია ითარგმნოს მისი ნეოლოგიზმები და დიალექტიზმები ისე, რომ სიტყვამ იგივე შთაბეჭდილება მოახდინოს ნათარგმნი ტექსტის მკითხველზე, როგორც ეს ორიგინალის კითხვის შემთხვევაში ხდება. კაზანძაკისმა დიალექტიზმების, ნეოლოგიზმების და არქაული ფორმების შეტანით გააფართოვა ბერძნული მხატვრული მეტყველების ჩარჩოები და გაამდიდრა ლექსიკა.

ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მთარგმნელები კაზანძაკისის ნეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების გადმოცემისას განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, რომელთა შერჩევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ ფაქტორებს. კრეტული და სხვა საბერძნეთის კუნძულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა, ავტორისეული ნეოლოგიზმები და მათი ქართულად ასახვა დიდ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს მთარგმნელისგან. თარგმნის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პარაქტიკოსის პოზიციას, რომელიც თარგმნის ამა თუ იმ ხერხის არჩევასას ეყრდნობა თავის მთარგმნელობით ალღოს, მთარგმნელობითი მუშაობისას შექმნილ გამოცდილებას.

## სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. თინათინ დარახველიძე, დიალექტიზმების როლი ნიკოს კაზანძაკისის შემოქმედებაში და მათი თარგმნის პრობლემატიკა. საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent“ 2019 №3 (43) (გვ.18-22)
2. **Tinatin Darakhvelidze, Nikos Kazantzakis and Georgia.** European Journal of Literature, Language and Linguistics Studies. Volume 3, Issue 2, 2019 (83-88)
3. **Tinatin Darakhvelidze, Nikos Kazantzakis's Writing Style in the Original and Translation** Logos Universality Mentality Education Novelty: Philosophy & Humanistic Sciences. Vol 7, No 2 (2019) (15-31)



**St. Andrew the First-called Georgian  
University of the Patriarchate of Georgia  
*The School of Humanities and Law*  
Doctoral-Educational Program Philology**

*With the right of manuscript*

**Tinatin Darakhvelidze**

**Peculiarities of translation of neologisms and  
dialectisms according to Georgian translations of  
Nikos Kazantzakis's novels**

**Dissertation Abstract**

Submitted for Doctoral degree in Philology

0232.1.3 Philology

Tbilisi

2020

27

The dissertation thesis has been conducted at the School of Humanities and Law of St. Andrew the First-called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

**Academic Supervisor:** **Eka Dugashvili**, doctor of philology,  
Associate Professor.

**Official Assessors:** 1. **Medea Abulashvili** , doctor of philology.  
2. **Ekaterine Chkoidze**, doctor of philology.

The dissertation will be defended at 4:00pm on 13<sup>th</sup> May 2020 at the dissertation commission session of the philology section of the dissertation board of the Faculty of Humanities and Law at St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Due to the state of emergency, the defense of the dissertation thesis will be held online. Involvement in the process of public defense of the dissertation thesis is available via the following link:  
<https://zoom.us/j/8978585107>

The dissertation thesis is available at the Scientific Library of St. Andrew the First-called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

The dissertation abstract was distributed on „\_\_\_\_“ \_\_\_\_\_, 2020.

Scientific Secretary of the Philology section of the Dissertation Board:

Doctor of Philology,

**Nino Mamardashvili**

# General Characteristics of the Study

## Topicality and Novelty of the Subject

